



აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა

საინფორმაციო ბიულეტენი 48

ივლისი / 2024

თანამედროვე წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების მნიშვნელობა მაღალმთიანი აჭარისთვის

აჭარის მაღალმთიან სოფლებში აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების ისტორიული პროგრამის ფარგლებში, თანამედროვე კომუნალური სისტემების შექმნის მიზნით, პროექტის დაწყებიდან დღემდე, არაერთი სოციალური შეხვედრა ჩატარდა.

ამ შეხვედრების მიზანი პროგრამის შესახებ ინფორმაციის გაცვლა, სოფლების შესახებ დეტალების დაზუსტება და ახალი თანამედროვე წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემის ტექნიკური და საინჟინრო ასპექტების გაცნობა იყო. მოსახლეობასთან მჭიდრო კომუნიკაცია და აქტიური ჩართულობა პროგრამის წარმატებით განხორციელების მთავარი გარანტიაა.



პირველი საინფორმაციო, გაცნობითი ტიპის შეხვედრები 2019 წელს დაიწყო. ამ დროს შეფასდა მოსახლეობის მზაობა და პროექტის საჭიროება სოფლებისთვის. ამ შეხვედრებზე ხშირად შეხვედრებით მოქალაქეებს რომლებიც ამბობდნენ, რომ სახლში წყალი რამდენიმე კილომეტრიდან მიიყვანეს თვითნაკეთი სისტემებით, ზაფხულსა და შემოდგომაზე წყლის დეფიციტის წინაშე დგანან და დაბალი წნევის, ან წყლის უქონლობის გამო საყოფაცხოვრებო ტექნიკით ვერ სარგებლობენ.



შეხვედრებს ხშირად ესწრებოდა მცირე საოჯახო სასტუმროს, ღვინის თუ სხვადასხვა საკვებ პროდუქტის მწარმოებელი მცირე ბიზნესს მენარმეები. ბიზნესის ოპერირების ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას საყოფაცხოვრებო პირობების და წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების არარსებობა წარმოადგენდა. შერჩეულ საპროექტო სოფლებში არსებულ მცირე საწარმოებზე „აჭარის წყლის ალიანსმა“ კონსულტანტების დახმარებით, ვიდეოების სერიაც მოამზადა.

მაგალითად, შუახევში, სოფელ გომარდულში საოჯახო სასტუმროს მფლობელმა ნანი ტარიელაძემ მოგვიყვა რომ გომარდულს ტურისტები წლის ორ სეზონზე - ზაფხულში და ზამთარში სტუმრობენ. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ სოფლისთვის აუცილებელია 24 საათიანი წყალმომარაგება. შუახევის კიდევ ერთ სოფელში, ბრილში გუგული ბოლქვაძე კერამიკის მცირე საწარმოს ფლობს. წარმოების სრული ციკლისთვის უწყვეტი წყალმომარაგება მისთვისაც მნიშვნელოვანია. ფიქრობს რომ მსგავს საწარმოებს სათანადო პირობებით შეუძლია სოფლებიდან ახალგაზრდების მიგრირების შეჩერება.

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა, აჭარის მაღალმთიან დასახლებებში ტურიზმის და სამეწარმეო საქმიანობის განვითარების ახალ შესაძლებლობებს ქმნის.

ინფორმაცია პროგრამის შესახებ


გერმანია-საქართველოს შორის ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში და ევროკავშირის მხარდაჭერით საქართველოსთან, აჭარის მუნიციპალიტეტებში (ქედა, შუახევი, ხულო, ხელვაჩაური, ქობულეთი) თანამედროვე სტანდარტების წყალმომარაგებისა და წყალარინების ინფრასტრუქტურა იქმნება.

პროექტის დასრულების შემდეგ, მუნიციპალიტეტებში მოსახლეობა 24 საათიანი უწყვეტი წყალმომარაგებით და გამართული წყალარინების სისტემებით ისარგებლებს. სამუშაოების განხორციელება ხელს შეუწყობს სოფლებში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, ასევე ტურიზმის სტიმულირებას.

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა, თვისებრივად პირველია საქართველოში რომელიც წყლისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის განვითარების ორგანიზებას ახდენს რეგიონის სოფლებში.



ეს საინფორმაციო ბიულეტენი შექმნილია ევროკავშირის და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია სს „აჭარის წყლის ალიანსი“ და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის შეხედულებებს.



Funded by
the European Union



KFW



AJARA RURAL WATER AND WASTEWATER PROGRAMME

Newsletter 48

July / 2024

MODERN WATER AND WASTEWATER SYSTEMS' IMPORTANCE FOR THE HIGHLANDS OF AJARA

Within the framework of the Ajara Rural Water and Wastewater Treatment Program, numerous social meetings have been held in the rural highland villages of Ajara since the program's inception.

These meetings aimed to share information about the program, clarify details about the villages, and introduce technical and engineering aspects of a new, modern water supply and wastewater system. The close relationship with the population and the active participation of local inhabitants are key to the program's successful implementation.

The first informative and introductory meetings began in 2019. During these meetings, the readiness of the population and the program's necessity for each village were assessed and the village user groups assisted. Many residents shared that they had water brought to their homes from several kilometers away using homemade systems, faced water shortages in summer and autumn, and were unable to operate household appliances due to low water pressure or lack of water.



Entrepreneurs from small family hotels, wineries, and various food-producing small businesses often attended these meetings.



A major challenge for these enterprises was the absence of adequate household conditions, water supply, and wastewater systems. The Ajara Water Alliance with consultant assistance, produced a series of village story videos highlighting small enterprises in the program villages.

For instance, Nani Tarieladze, the owner of a family hotel in the village of Gomarduli in Shuakhevi, mentioned that tourists visit Gomarduli in both summer and winter. She emphasized that a 24-hour water supply is essential for the village. Guguli Bolkvadze, who owns a pottery micro-enterprise in Brili, another village in Shuakhevi, noted the importance of a continuous water supply for her business during the full production cycle. She believes that proper conditions for the village inhabitants and the small enterprises can help prevent the migration of young people from the villages.

The Ajara Rural Water and Wastewater Treatment Program creates new opportunities for the development of tourism and business activities in the highland settlements of Ajara. The program's implementation will significantly contribute to the quality of life of all village inhabitants, as well as the growth and prosperity of the villages.

GENERAL INFORMATION ABOUT THE PROGRAMME

In the frame of the German-Georgian Financial Cooperation and EU support to Georgia, the municipalities of Ajara (Keda, Shuakhevi, Khulo, Khelvachauri, Kobuleti) will benefit from the modern standard water supply and waste water infrastructure.

Upon completion of the project, people in the municipalities will have 24 hour uninterrupted water supply and properly managed waste water system services.

The mentioned Programme will have an essential contribution to the improvement of the level of life, health and the hygiene in general for the citizens of the villages in Ajara as the Programme will keep the environment safe through avoiding contamination and pollution of the environment and water bodies by directly discharged effluent.

The content of the Programme "Rural Water Supply and Wastewater Programme-Ajara" is unique in Georgia with its potential to influence the water supply and wastewater infrastructure development in the villages of the region.



This newsletter has been produced with the assistance of the European Union and KfW Development Bank. Its contents are the sole responsibility of Ajara Water Alliance JSC and do not necessarily reflect the views of the European Union and KfW Development Bank.